

კონტაქტის ჰიპოთეზა: ამცირებს თუ არა წინარწმენას  
საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება

ნანა მამინაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე  
სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მაყაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა მამინაშვილი

26.06.2019

## აბსტრაქტი

წინარწმენა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მსოფლიოში და მრავალი კლვევის საგანია სოციალურ მეცნიერებებში. სწორედ წინარწმენები უდევს საფუძვლად ისეთ დისკრიმინაციულ გამოვლინებებს, როგორცაა სექსიზმი, რასიზმი, ჰომოფობია და ა.შ. სოციალური მეცნიერები ეძებენ წინარწმენების გამომწვევ მიზეზებსა და მისი შემცირების გზებს. კვლევებზე დაყრდნობით, გორდონ ოლპორტმა შემოგვთავაზა "კონტაქტის ჰიპოთეზა", როგორც წინარწმენების შემცირების წინაპირობა. "კონტაქტის ჰიპოთეზის" მიხედვით, რაც უფრო ხშირია კონტაქტი გარე-ჯგუფის წევრებთან, მით ნაკლებია წინარწმენა მათ მიმართ. ასევე, კვლევებიდან ჩანს, რომ საზღვარგარეთ ცხოვრებისა და სწავლის გამოცდილება- ამცირებს წინარწმენებს, ამის მიზეზი კი ის ბუნებრივი გარემოა, სადაც ახალგაზრდებს სხვადასხვა გარე-ჯგუფის წევრებთან ხშირი და ხანგრძლივი კონტაქტი აქვთ. წინამდებარე ნაშრომი 108 ადამიანზე შეგროვებული მონაცემებით, კვლევის კორელაციული და ექსპერიმენტული მეთოდების კომბინირებით ეცადა, ეკვლია ამცირებს თუ არა საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება და ხშირი კონტაქტი წინარწმენებს. წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ ხშირი კონტაქტი დადებითად არის ასოცირებული წინარწმენის შემცირებასთან ჰომოსექსუალებისა და მუსლიმების მიმართ, თუმცა კავშირი არ დაფიქსირდა სომხებთან დამოკიდებულებებისთვის. ასევე, კვლევამ აჩვენა, რომ წინარწმენის ხარისხში არაა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება საზღვარგარეთ ნასწავლ და ასეთი გამოცდილების არ-მქონე ახალგაზრდებს შორის.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** წინარწმენა, კონტაქტის ჰიპოთეზა, სოციალური დისტანცია, საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება.

## Abstract

Prejudice is one of the most important problem in the world and is the main topic of many social science studies. Prejudice is the reason behind many discriminatory behaviors such as sexism, racism, homophobia etc. Social scientists are looking for the causes of prejudice and the ways to reduce it. Based on surveys, Gordon Allport proposed the “Contact Hypothesis” as a predecessor for prejudice reduction. According to “Contact Hypothesis”, the more the positive contact with out-group members, the less the prejudice towards them. The studies also show, that the experience of living and studying abroad reduces prejudice and the reason is the natural environment, where young people have frequent and long-term contacts with out-group members. According to data collected from 108 respondents , the present study tried to test the hypotheses whether the frequent contact and studying abroad reduces prejudice. The hypotheses have been examined using a combination of correlation and experimental research methods. The study showed that frequent is associated with reduced prejudice towards homosexuals and Muslims. However, no significant correlation was found between prejudice towards Armenians and frequent contact with them. Additionally, the study showed that there is no statistically significant difference in prejudice between the young people who have and who have not experience of living and studying abroad.

**Keywords:** Prejudice, contact hypothesis, social distance, studying abroad.